ცხადდება კონკურსი ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის ევროკომისიის მიერ დაფინასებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად მარმარას უნივერსიტეტში (თურქეთის რესპუბლიკა)

აკადემიური მიმართულებები: იურიდიული, არქეოლოგია, უკრაინისტიკა, ანთროპოლოგია, თურქოლოგია
ადმინისტრაციული მიმართულებები: საგარეო ურთიერთობები/საერთაშორისო ოფისი

სამიზნე ჯგუფი: თსუ-ს მმართველი რგოლის წარმომადგენელები (რექტორი, ვიცე-რექტორი, დეკანი, კანცლერი, ვიცე-კანცლერი, დეპარტამენტის უფროსი), სამიზნე აკადემიური მიმართულებების წარმომადგენელი აკადემიური პერსონალი
მობილობის ენა: ინგლისური ან თურქული
მობილობის განხორციელების ვადა: 2024/25 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე

ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:

- სააპლიკაციო დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- პასპორტის ასლი;
- ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
- CV ინგლისურ ენაზე;
- შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე (დანართი 1)

კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული რელევანტური მიმართულების ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge მიმდინარე წლის 30 ივნისის 17:00 საათამდე (თბილისის დროით)! გასაუბრება დასწრებულ რეჟიმში ჩატარდება 2025 წლის 1 ივლისს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა შეუძლებელია.

კითხვების შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge